| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                     |          | (1 834 316)          | (257 930)            |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                                                     |          | 11 331               | 19 630               |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                         |          | <b>(1 822 985)</b>   | <b>(238 300)</b>     |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                   |          |                      |                      |
| სესხის აღება                                                                     |          | -                    | -                    |
| სესხის დაფარვა                                                                   |          | (3 516 810)          | (3 541 111)          |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                            |          | <b>(3 516 810)</b>   | <b>(3 541 111)</b>   |
| <b>ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/კლება</b>                                        |          | <b>1 716 966</b>     | <b>1 280 205</b>     |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტების წლის დასაწყისში</b>                              |          | <b>5 399 864</b>     | <b>4 675 316</b>     |
| სავალუტო კურსის ზეგავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე                          |          | (247 768)            | (555 657)            |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>                                    |          | <b>6 869 062</b>     | <b>5 399 864</b>     |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 25 სექტემბერს.

სოფიო კორძაძია

გენერალური დირექტორი

2024 წლის 25 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

მთერ გურგენაშვილი

მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 25 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

10-23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“ დაფუძნებულია 2013 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით. კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2013 წლის 8 მაისს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 406092570. კომპანიის 100%-იანი პარტნიორია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონების თანახმად შექმნილი კომპანია „V.P.S. GROUP LIMITED“. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეებს წარმოადგენენ ვასილ სოფრომაძე და მადონა კიკორია.

შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“-ს თავდაპირველი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. #61. 2021 წლის 12 აპრილს სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ შეიცვალა კომპანიის იურიდიული მისამართი და გახდა ქ. თბილისი, ჩიქობავას ქ. #22.

2024 წლის 1 ივლისს სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ შეიცვალა კომპანიის იურიდიული მისამართი და გახდა ქ. თბილისი, სოფელი ოქროყანა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N 3

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ფლობს შერეული საქონლის მაღაზიათა ქსელს თბილისში და თავის საქმიანობას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვასილ სოფრომაძე (პ/ნ 01008012429) და გენერალური დირექტორი სოფიო კორმახია (პ/ნ 01008022693).

2016 წლის 5 იანვარს განხორციელებული რეორგანიზაციით კომპანიას გამოეყო და რეორგანიზაციის შედეგად დარეგისტრირდა ახალი სუბიექტი - შპს „ფრესკო ნიუ სტანდარტს“ ს/ნ 404506325.

კომპანია აგრეთვე მონაწილეობს ააიპ „ფრესკოს საქველმოქმედო ფონდის“ საქმიანობაში.

კომპანიაში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 432 თანამშრომელი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 501 თანამშრომელი. წლის განმავლობაში საშუალო მონაცემი შეადგენდა 305 თანამშრომელს.

### 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

#### 2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს და ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისად მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

|                             | 31 დეკემბერი, 2023 | 31 დეკემბერი, 2022 |
|-----------------------------|--------------------|--------------------|
| 1 USD/GEL                   | 2.6894             | 2.7020             |
| 1 EUR/GEL                   | 2.9753             | 2.8844             |
| წლის საშუალო გაცვლითი კურსი | 2023               | 2022               |
| 1 USD/GEL                   | 2.6234             | 2.9156             |
| 1 EUR/GEL                   | 2.8365             | 3.0792             |

## 2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს სტანდარტის მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, ასევე იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

| ჯგუფი                       | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-----------------------------|-------------------------------------|
| შენობები                    | 70                                  |
| სატრანსპორტო საშუალებები    | 5-6                                 |
| მანქანა დანადგარები         | 8-40                                |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 2-20                                |
| სხვა ძირითადი საშუალებები   | 2-20                                |

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადები;
2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

## 2.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს FIFO (პირველი შევიდა, პირველი გავიდა) მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს სარეალიზაციო პროდუქცია. საცალო ვაჭრობისათვის და მათი ჩამოწერის დროს ჩამოწერის თანხა შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას.

## 2.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება იურიდიულ პირებზე მიწოდებული საქონლის ღირებულებისაგან, იჯარის გადასახადებისგან და მომწოდებლებისათვის გაწეული მომსახურების მისაღები თანხებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

## 2.6 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

## 2.7 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიის დაფუძნების დღიდან კომპანიიდან დივიდენდების გატანა არ მომხდარა.

## 2.8 სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება

ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

## 2.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

### 2.10 მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზევით.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

## 2.11 დამატებული ღირებულების გადასახადი.

რეალიზებულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

## 2.12 ამონაგები

კომპანია საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ახორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

## 2.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ჩამოწერას ახორციელებს შესაბამისი შემოსავლების აღიარებისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

## 2.14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და ამ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

## 2.15 საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან

ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

## 2.16 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

## 2.17 ჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე და არსებობს ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

## 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

კომპანია ყურადღებით აკვირდება უკრაინაში მომხდარ მოვლენებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდა მერყეობა სასაქონლო და სავალუტო ბაზარზე. მოხდა დეფიციტური საქონლის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული წყაროებიდან იდენტური/მსგავსი საქონლით, რითაც თავიდან იქნა აცილებული საწარმოს ფუნქციონირებადობის რისკი.

## საეჭვო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

## ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

## 4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრა:

| დასახელება              | მიწა             | შენობები         | სატრანსპორტო საშუალებები | ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა | მანქანა-დანადგარები | სხვა           | სულ               |
|-------------------------|------------------|------------------|--------------------------|-----------------------------|---------------------|----------------|-------------------|
| <b>ნაშთი 31.12.2021</b> | <b>6 543 293</b> | <b>9 375 354</b> | <b>78 077</b>            | <b>957 812</b>              | <b>165 770</b>      | <b>342 017</b> | <b>17 462 323</b> |
| მომრეობა                |                  |                  |                          |                             |                     |                |                   |
| კატეგორიებს შორის       |                  |                  |                          |                             |                     |                |                   |
| შემოსვლა                |                  |                  |                          | 231 717                     |                     | 28 536         | 260 253           |
| გასვლა                  |                  |                  |                          | (18 367)                    |                     | (14 222)       | (32 589)          |
| ცვეთის ხარჯი            |                  | (147 660)        | (5 842)                  | (293 171)                   | (14 623)            | (36 760)       | (498 056)         |
| <b>ნაშთი 31.12.2022</b> | <b>6 543 293</b> | <b>9 227 694</b> | <b>72 235</b>            | <b>877 991</b>              | <b>151 147</b>      | <b>319 571</b> | <b>17 191 931</b> |
| მომრეობა                |                  |                  |                          |                             |                     |                |                   |
| კატეგორიებს შორის       |                  |                  |                          |                             |                     |                |                   |
| შემოსვლა                |                  | 2 800            |                          | 1 250 693                   | 289 836             | 290 987        | 1 834 316         |
| გასვლა                  |                  |                  | (465)                    | (4 242)                     | (1 819)             | (4 805)        | (11 331)          |
| ცვეთის ხარჯი            |                  | (147 683)        | (5 724)                  | (340 617)                   | (31 232)            | (50 194)       | (575 450)         |
| <b>ნაშთი 31.12.2023</b> | <b>6 543 293</b> | <b>9 082 811</b> | <b>66 046</b>            | <b>1 783 825</b>            | <b>407 932</b>      | <b>555 559</b> | <b>18 439 466</b> |

2023 წლის 31 დეკემბრის და დღევანდელი მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი უზრუნველყოფის საშუალებებით როგორიცაა გირავნობა, იპოთეკა, ყადაღა, აკრძალვა და სხვა.

## 5. მარაგები

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                        | 31.12.2023       | 31.12.2022       |
|-----------------------------------|------------------|------------------|
| საქონელი                          | 8 138 563        | 7 326 352        |
| ნედლეული და მასალები              | 231 472          | 133 698          |
| მცირეფასიანი საგნები და ინვენტარი | 245 174          | 158 991          |
| სხვა მარაგები                     | 11 608           | 7 568            |
| <b>სულ მარაგები:</b>              | <b>8 626 817</b> | <b>7 626 609</b> |

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                             | 31.12.2023     | 31.12.2022     |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| დებიტორული დავალიანება                 | 56 533         | 46 980         |
| მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან      | 569 296        | 287 497        |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:</b> | <b>625 829</b> | <b>334 477</b> |

## 7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                              | 31.12.2023       | 31.12.2022       |
|-----------------------------------------|------------------|------------------|
| ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში          | 554 191          | 557 084          |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში            | 1 686 919        | 943 854          |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში             | 4 627 952        | 3 898 926        |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები:</b> | <b>6 869 062</b> | <b>5 399 864</b> |

## 8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                       | 31.12.2023        | 31.12.2022        |
|----------------------------------|-------------------|-------------------|
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება | 2 824 636         | 6 728 750         |
| გრძელვადიან სესხზე გადასახდელი % | 8 239 449         | 8 278 051         |
| <b>სულ მიღებული სესხები:</b>     | <b>11 064 085</b> | <b>15 006 801</b> |

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შენიშვნაში მოცემული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება არის სესხი, რომელიც შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრს“ მიღებული აქვს დამფუძნებელი კომპანიისგან და ეს ვალდებულება არ წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას. 2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯი არ ფიქსირდება, რადგან კომპანიას დამფუძნებლისგან აღებული აქვს უპროცენტო სესხი. ამასთან 2023 წლამდე სესხზე დარიცხული პროცენტები არ ექვემდებარება გრაფიკით დაფარვას და მისი გადახდაც მოხდება გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად შენიშვნაში მოცემული ვალდებულებების ნაშთები მოკლევადიან პერიოდში არ იმოქმედებს კომპანიის ფულის მოძრაობაზე.

ზემოაღნიშნული აგრეთვე გავლენას ახდენს სავალუტო რისკების მოცულობაზე და რადგანაც სავალუტო პოზიციების ცვლილება პრაქტიკულად სრულად გამოწვეულია ვალუტაში არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებებით, მის გარეშე კომპანიას სავალუტო რისკი პრაქტიკულად არ გააჩნია.

## 9. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                                                               | 31.12.2023       | 31.12.2022     |
|--------------------------------------------------------------------------|------------------|----------------|
| სმფ მოწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები | 543 916          | 390 754        |
| ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები   | 2 727            | 2 811          |
| გადასახდელი ხელფასები                                                    | 404 252          | 398 789        |
| საგადასახადო ვალდებულებები                                               | 49 532           | -              |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე                                 | 1 075            | 15 901         |
| <b>სულ სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                               | <b>1 001 502</b> | <b>808 261</b> |

## 10. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                | 31.12.2023        | 31.12.2022        |
|---------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან  | 79 755 868        | 66 505 733        |
| შემოსავალი მომსახურებიდან | 7 440 474         | 4 987 265         |
| <b>სულ ამონაგები:</b>     | <b>87 196 342</b> | <b>71 492 998</b> |

## 11. მიწოდების ხარჯები

გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                                     | 31.12.2023     | 31.12.2022     |
|------------------------------------------------|----------------|----------------|
| ტრანსპორტირების ხარჯები                        | 196 968        | 172 258        |
| სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯები | 698 273        | 583 535        |
| <b>სულ მიწოდების ხარჯები:</b>                  | <b>895 241</b> | <b>755 793</b> |

## 12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                                    | 31.12.2023        | 31.12.2022        |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| პერსონალის ხარჯები                            | 7 562 727         | 6 330 185         |
| იჯარის ხარჯი                                  | 575 485           | 629 100           |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები           | 1 922 066         | 1 752 034         |
| სამეურნეო ხარჯები                             | 1 680 305         | 676 837           |
| დაზღვევის ხარჯები                             | 25 943            | 28 306            |
| ოფისის ხარჯი                                  | 144 028           | 128 510           |
| საბანკო მომსახურების ხარჯი                    | 466 758           | 363 045           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                          | 564 221           | 511 023           |
| საგადასახადო ხარჯები                          | 299 235           | 242 328           |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | 190 816           | 246 992           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:</b> | <b>13 431 584</b> | <b>10 908 360</b> |

### 13. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                            | 31.12.2023     | 31.12.2022     |
|---------------------------------------|----------------|----------------|
| სახელმწიფო დახმარება                  | -              | 38 574         |
| შემოსავალი ინვენტარიზაციით            | 235 170        | 222 234        |
| შემოსავალი მარკეტინგული საქმიანობიდან | 54 705         | 46 624         |
| სხვა შემოსავალი                       | 164 123        | 127 375        |
| <b>სულ სხვა შემოსავალი:</b>           | <b>453 998</b> | <b>434 807</b> |

### 14. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| დასახელება                          | 31.12.2023     | 31.12.2022     |
|-------------------------------------|----------------|----------------|
| საქონლის ჩამოწერის ხარჯი            | 677 173        | 325 459        |
| ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯი | 1 884          | 18 681         |
| კონვერსიის და კონვერტაციის ხარჯი    | 26 187         | 51 368         |
| სხვა ხარჯები                        | 8 386          | 2 506          |
| <b>სულ სხვა ხარჯები:</b>            | <b>713 630</b> | <b>398 014</b> |

### 15. პირობითი ვალდებულებები

#### საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

#### გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან

გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში.

## **დაზღვევა**

იმისათვის, რომ კომპანიაში არ წარმოიშვას გაუთვალისწინებელი გარემოებები, აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებები. კომპანიას დაზღვეული აქვს როგორც საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები, ასევე სასაქონლო მატერიალური მარაგები. აქედან გამომდინარე გაუთვალისწინებელი და ბუნებრივი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზიანი ანაზღაურებული იქნება სადაზღვევო კომპანიის მიერ, რაც მინიმუმამდე ამცირებს შესაძლო დანაკარგების რისკს.

კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ მომავალშიც გააგრძელებს ბაზარზე არსებული მოწინავე სადაზღვევო პროდუქტების გამოყენებას.

## **გარემოს დაცვა**

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

## **სასამართლო დავები**

2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

## **16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას, რადგანაც დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება მოხდეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც ვერ მოხდება დაუკავშირებელ პირებთან.

შპს "ფრესკო შოპინგ ცენტრი" ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

| დასახელება                      | მფლობელები       | უმაღლესი<br>მენეჯმენტი | საერთო<br>მფლობელობაში<br>მყოფი<br>კომპანიები |
|---------------------------------|------------------|------------------------|-----------------------------------------------|
| საქონლის რეალიზაცია             | -                | -                      | 207 252                                       |
| მომსახურების გაწევა             | -                | -                      | 37 246                                        |
| სესხის დაფარვა                  | 3 816 510        | -                      | -                                             |
| საქონლის და ნედლეულის შესყიდვა  | -                | -                      | 30 044                                        |
| სერვისების შესყიდვა (იჯარა)     | -                | -                      | 630 641                                       |
| პერსონალის ხარჯები              | -                | 456 600                | -                                             |
| <b>სულ 2023 წლის ოპერაციები</b> | <b>3 816 510</b> | <b>456 600</b>         | <b>905 183</b>                                |

| დასახელება                        | მფლობელები        | უმაღლესი<br>მენეჯმენტი | საერთო<br>მფლობელობაში<br>მყოფი<br>კომპანიები |
|-----------------------------------|-------------------|------------------------|-----------------------------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | -                 | -                      | 1 781                                         |
| მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან | -                 | -                      | 11 400                                        |
| მიღებული სესხები და პროცენტები    | 11 064 085        | -                      | -                                             |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები     | -                 | -                      | 85 191                                        |
| ვალდებულებები პერსონალის წინაშე   | -                 | 13 626                 | -                                             |
| <b>სულ ნაშთი 31.12 2023</b>       | <b>11 064 085</b> | <b>13 626</b>          | <b>98 372</b>                                 |

## 17. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

## დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

### შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელაც მიეკუთვნება შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

### მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისაგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

### მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

### შპს „რეალ აუდიტ კონსალტინგის“ სახელით

-----  
მარინა ბედინიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-239273)

აუდიტის პარტნიორი

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი, 2024 წელი

## დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

### შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელაც მიეკუთვნება შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

### მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისაგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

### მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „რეალ აუდიტ კონსალტინგის“ სახელით

ბ. ზეგუიძე

მარინა ბედიჩიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-239273)

აუდიტის პარტნიორი

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი, 2024 წელი



A close-up photograph of several green leaves, likely from a plant like a peace lily, showing their smooth, wavy edges and vibrant green color. The leaves are layered, creating a sense of depth and texture. A semi-transparent white banner is overlaid across the middle of the image, containing the title text.

# წლიური ანგარიში 2023

|                                                                                                                                          |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
|  კომპანიის შესახებ                                       | 03 |
|  გასული წლების მოკლე მიმოხილვა                           | 05 |
|  დამფუძნებლის მიმართვა                                   | 06 |
|  ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მოკლე მიმოხილვა | 07 |
|  ძირითადი რისკების მოკლე მიმოხილვა                     | 12 |
|  სამომავლო გეგმები                                     | 15 |

ფრესკო 2012 წელს დაარსდა და 9 სუპერმარკეტით არის წარმოდგენილი თბილისის სხვადასხვა რაიონში. აქედან, ფრესკო შოპინგ ცენტრი მხოლოდ 5 სუპერმარკეტს აერთიანებს: საბურთალოს, ჩუღურეთის, სანჯონის, ისნისა და გლდანის რაიონებში. 2012 წელს, ფრესკო იყო პირველი და ერთადერთი ქსელი, რომელმაც თბილისის გარე უბნების მაცხოვრებლებისათვის შექმნა ისეთივე კომფორტული და მაღალი სტანდარტების მქონე დიდი ფორმატის სავაჭრო სივრცეები, როგორიც შეიძლებოდა სხვა ნებისმიერ ცენტრალურ უბანში ყოფილიყო. ფრესკოს ბრენდის ქვეშ გაერთიანებული სუპერმარკეტები ხუთი კომპანიის მეშვეობით ოპერირებენ ქართულ საცალო ვაჭრობის ბაზარზე.

ფრესკომ ბაზარზე შემოსვლისთანავე დაიწყო ქსელის აქტიური განვითარება და სუპერმარკეტების რაოდენობის სწრაფი ზრდის მეშვეობით იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად-მზარდი ქსელი გახდა. ეს სტრატეგია კომპანიამ რადიკალურად შეცვალა 2016 წლიდან და შემდგომ ეტაპზე, კონცენტრაცია არა სუპერმარკეტების რაოდენობის ინტენსიურ ზრდაზე, არამედ არსებული ქსელის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ განვითარებასა და მომგებიანობის ზრდაზე მოახდინა. ამასთან, ქსელის განვითარების ახალი სტრატეგია ითვალისწინებს სუპერმარკეტების რაოდენობის იმგვარ ზრდას, რომელიც შესაბამისობაშია ფრესკოს მდგრადი და სტაბილური განვითარების გრძელვადიან ხედვებთან.

ფრესკო ლიდერი კომპანიაა მოწესრიგებული საცალო ვაჭრობის ბაზარზე, რომლის წარმატებას განაპირობებს მისი სწრაფვა და მზაობა კომფორტულ გარემოში მიაწოდოს მომხმარებლებს ხარისხიანი პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი. ფრესკო არის ფინანსურ წარმატებაზე ორიენტირებული კომპანია, რაც არა მხოლოდ დამფუძნებლისთვის გონივრული მოგების მიღებას, არამედ თითოეული თანამშრომლის ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფას და ამავდროულად, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას გულისხმობს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი პირობაა, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლის კმაყოფილების მაღალი დონის უზრუნველყოფა. აქტიური კონკურენციის, მომხმარებლის მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის და მოლოდინების ზრდის პირობებში, ეს უფრო და უფრო რთული ამოცანა ხდება. აღნიშნულ გამოწვევებს ფრესკო წარმატებით უმკლავდება სწრაფი და დროული რეაგირების გზით: კომპანიაში შემუშავებულია მომხმარებლის უკუკავშირის ანგარიშგების და გაანალიზების სისტემა, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს პროცესების გამარტივება და ოპტიმიზაცია. რეგულარულად ხდება სავაჭრო სივრცეების შიდა და გარე დიზაინის, ასევე ინვენტარის განახლება და გაუმჯობესება, იმისთვის რომ მომხმარებლების მიერ ფრესკოში საყიდლების გაკეთება კიდევ უფრო სასიამოვნო გამოცდილება გახდეს.

ამასთანავე, ფრესკო ერთადერთი ქსელია საქართველოში, რომელიც ოპერირებს 100% საკუთრებაში არსებულ მიწისა და შენობების ბაზაზე, რაც განაპირობებს მის დამოუკიდებლობას და ფინანსურ სიძლიერეს.



კომპანიის ბიზნეს საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ საცალო გაყიდვები
- ✓ კორპორატიული გაყიდვები
- ✓ მზა კვების და საკონდიტროს წარმოება
- ✓ თვითმომსახურების კაფე
- ✓ სავაჭრო ცენტრში არსებული კომერციული ფართების იჯარა

ფრესკოს კონკურენტული უპირატესობაა:

- ✓ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია
- ✓ პროდუქციის ფართო ასორტიმენტი
- ✓ კომფორტული გარემო
- ✓ საუკეთესო დონის მომსახურება
- ✓ სისუფთავე და სურსათის უვნებლობის სტანდარტების მაღალი დონე
- ✓ საკუთარი წარმოების მზა კვება და საკონდიტრო (ყოველთვის ახალდამზადებული თითოეულ სუპერმარკეტში)
- ✓ უფასო პარკინგი
- ✓ კეთილმოწყობილი კაფე
- ✓ ყოველდღიური, 24 საათიანი მომსახურება

ფრესკოს წარმატების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და ღირებული აქტივი მისი გუნდია, რომელიც წარმოდგენილია 1200-მდე გადამზადებული თანამშრომლითა და სუპერმარკეტის კვალიფიციური, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯმენტით. კომპანიის სტრატეგია ეფუძნება ნებისმიერი დასაქმებულისთვის შიდა დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობის მიცემისა და წახალისების პრინციპს და ორიენტირებულია თანამშრომლებთან გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე. სუპერმარკეტში დასაქმებული საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერების, ასევე დირექტორთა საბჭოს წევრების 90% შიდა დაწინაურებული კადრია.

| 2023                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         | 2022                                                                                                                                                                                                                                                                                                            | 2021                                                                                                                                                                                                                                                                            |                                                                                                                                                                                                                                     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ul style="list-style-type: none"><li>• ამოქმედდა საკონსერვო საწარმო ISO – HACCP სტანდარტების შესაბამისად</li><li>• საფუძველი ჩაეყარა მე-10 ფილიალის მშენებლობას</li><li>• სრულიად განახლდა საბურთალოს ფილიალი</li><li>• რამდენიმე ფილიალს შეემატა ღია კაფე</li><li>• დაინერგა მომსახურების გაუმჯობესების სისტემა</li></ul>                  | <ul style="list-style-type: none"><li>• უპრეცედენტოდ გაიზარდა კომპანიის შემოსავალი და მოგება</li><li>• 25%-ით გაიზარდა მომხმარებლების ჯამური რაოდენობა</li><li>• მნიშვნელოვნად გაიზარდა სუპერმარკეტში დასაქმებულთა ანაზღაურება</li><li>• ჩატარდა სხვადასხვა სოციალური კამპანია უკრაინის მხარდასაჭერად</li></ul> | <ul style="list-style-type: none"><li>• გაიხსნა ფრესკოს მეცხრე სუპერმარკეტი დიდუბეში</li><li>• კომპანია ჩაერთო GLOVO-ს ელექტრონული გაყიდვების სისტემაში</li><li>• პროდუქციის ასორტიმენტი გაიზარდა 20%-ით</li></ul>                                                              |                                                                                                                                                                                                                                     |
| 2020                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         | 2019                                                                                                                                                                                                                                                                                                            | 2018                                                                                                                                                                                                                                                                            | 2017                                                                                                                                                                                                                                |
| <ul style="list-style-type: none"><li>• პანდემიის პერიოდში კომპანია გადავიდა საგანგებო სამუშაო რეჟიმში</li><li>• ჩაერთო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ფარგლებში განხორციელებულ სოციალური დახმარების პროექტებში</li><li>• განახლდა სუპერმარკეტების შიდა და გარე ინტერიერი</li><li>• დაიწყო ახალი სუპერმარკეტის მშენებლობა წერეთელზე</li></ul> | <ul style="list-style-type: none"><li>• დაინერგა ახალი ლოიალობის პროგრამა</li><li>• დაემატა მიწოდების სერვისი</li><li>• დაინერგა თანამშრომლების წახალისების ახალი საბონუსე სისტემა</li></ul>                                                                                                                    | <ul style="list-style-type: none"><li>• განახლდა სუპერმარკეტის ინტერიერი</li><li>• დაემატა ახალი, საყოფაცხოვრებო ნივთების და ტექნიკის სექცია</li><li>• დაიწყო თანამშრომლობა კომპანია „სუფთა სახლთან“</li><li>• გაუქმდა ფრესკოს 5%-იანი ფასდაკლების ბარათი</li></ul>             | <ul style="list-style-type: none"><li>• დაინერგა ელექტრონული პლანოგრამებისა და ელექტრონული შეკვეთების სისტემა</li><li>• გაიხსნა „ფრესკო კაფე“ სავაჭრო ცენტრ „ისტ ფონთში“</li><li>• აშენდა ახალი სათავო ოფისი VILLA FRESCO</li></ul> |
| 2016                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         | 2015                                                                                                                                                                                                                                                                                                            | 2014                                                                                                                                                                                                                                                                            | 2013                                                                                                                                                                                                                                |
| <ul style="list-style-type: none"><li>• ჩატარდა კომპანიის რეორგანიზაცია, კომპანიის სისტემატიზაციის ამაღლებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით</li><li>• მოხდა ფრესკოს ბრენდის ქვეშ წარმოებული პროდუქციის გამოშვება</li><li>• დაარსდა ფრესკოს აკადემია თანამშრომელთა გადამზადებისა და ტრენინგისთვის</li></ul>                                   | <ul style="list-style-type: none"><li>• გაიხსნა ფრესკო შოპინგ ცენტრის 2 სუპერმარკეტი ისანსა და გლდანში</li><li>• ფრესკოს ორგანიზებით ჩატარდა ელექტრონული მუსიკალური ფესტივალი</li></ul>                                                                                                                         | <ul style="list-style-type: none"><li>• ფრესკო შოპინგ ცენტრმა გახსნა 4 სუპერმარკეტი: ორთაჭალაში, საბურთალოზე, ჩუღურეთსა და სანჯონაში.</li><li>• დაარსდა „ფრესკოს საქველმოქმედო ფონდი“</li><li>• ლოიალობის ამაღლების მიზნით შეიქმნა ფრესკოს 5%-იანი ფასდაკლების ბარათი</li></ul> | <ul style="list-style-type: none"><li>• დაარსდა ფრესკო შოპინგ ცენტრი</li></ul>                                                                                                                                                      |

5

2023 წელს დაკავებული ვიყავით საშინაო სამუშაოებით:

1. მომსახურების ხარისხის გაზრდით (თვითმომსახურების საღაროების დანერგვა, მისტიური კლიენტების პროგრამის ჩაშვება, სუპერმარკეტების პერსონალის შესაბამისი ტრეინინგი და ა.შ.);
2. ასორტიმენტის გაფართოვებით;
3. თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურების პირობების გაუმჯობესებით;
4. მზა კვებაში ახალი, მოთხოვნადი და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ჩაშვებით;
5. სუპერმარკეტების როგორც სავაჭრო, ასევე ტექნიკური დანადგარების გადაიარაღებით;
6. კაპიტალური რემონტით და სუპერმარკეტის ღიზინის დახვეწით როგორც ექსტერიერის, ისე ინტერიერის თვალსაზრისით;
7. სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების უპირობოდ დანერგვით ჩვენს სუპერმარკეტებში;
8. ახალი მიწის ნაკვეთების მოძიებით (2024 წელს დიდ დიღომში, მეფე მირიანის #28-ში გაიხსნება ფრესკოს მე-10 სუპერმარკეტი).



ფრესკოს მენეჯმენტის მიერ ჩატარებულმა სამუშაომ გამოიღო თავისი შედეგი:

1. გაიზარდა კომპანიის კაპიტალიზაცია;
2. გაიზარდა წლიური ბრუნვა შიდა რესურსების ამოქმედებით;
3. გაიზარდა საშუალო ჩეკი;
4. საგრძნობლად გაიზარდა მომხმარებლების რაოდენობა;
5. გაიზარდა მომსახურების ხარისხი და პროდუქციის ასორტიმენტი.

თუმცა, ამ მიმართულებებით კიდევ ბევრის გაკეთება შეგვიძლია და შევეცდებით გავაკეთოთ.

სამწუხაროდ, 2022 წელთან შედარებით, 2023 წელს კიდევ უფრო გაიზარდა პროტექციონიზმი და ორმაგი სტანდარტები და რითეილის მსხვილი მოთამაშეები ისევ არ არიან ერთნაირი მანძილით დაშორებული გადაწყვეტილების მიღების ცენტრიდან.

ფრესკოს გუნდი იმედით უყურებს კომპანიის და მთლიანად ჩვენი ქვეყნის მომავალს.

მადლობა ფრესკო ჯგუფის ყველა წევრს გაწეული მუშაობისთვის!

მადლობა ყველა მომწოდებელ კომპანიას თანამშრომლობისთვის!

მადლობა ყველა ჩვენს მომხმარებელს ერთგულებისთვის და ნდობისთვის!

გპირდებით, არ დაგაღალატებთ!

მადლობა ღმერთს, რომ გვაძლევს ძალას და ჯანმრთელობას წარმატებით გავაგრძელოთ ჩვენი ბიზნესი!


ვასილ სოფრომაძე  
დამფუძნებელი

**ფინანსური მაჩვენებლები:**

2023 წელს, საქართველოს ეკონომიკა წინა წელთან შედარებით 7%-ით გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით შემცირებულია. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილი ვაჭრობამ შეიტანა. სხვადასხვა საბანკო კვლევის თანახმად საქართველოში პირველადი მოხმარების პროდუქციით ვაჭრობის ბაზარზე ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი ნომინალური ხელფასის უფრო მეტად გაზრდაა, ვიდრე სამომხმარებლო ფასების, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის დანახარჯების ზრდას შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში ჯერ კიდევ მზარდია, რაც გარკვეულწილად საშუალო კლასის გაძლიერებასთანაა დაკავშირებული.

განსხვავებით ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ნიშნულისა, 2023 წელს ფრესკო შოპინგ ცენტრმა ფინანსური მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა დააფიქსირა - კერძოდ, 2022 წელთან შედარებით, რეალიზაცია 22%-ით, ხოლო საოპერაციო მოგება 14.25%-ით 6,676,259 ლარამდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული შედეგი, კომპანიამ მოქნილობის, სწრაფად-ცვალებად გარემოზე მყისიერად ადაპტირებისა და სტრუქტურულ მუშაობის დამსახურებით შეძლო.

**ფრესკო შოპინგ ცენტრის საოპერაციო მოგება**



დეტალური ინფორმაცია კომპანიის 2023 წლის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში და დამოუკიდებელი აუდიტების მიერ მომზადებულ უპირობო დასკვნაში.

**არაფინანსური მაჩვენებლები:**

**საცალო გაყიდვები:**

2023 წელი ფრესკოში მომსახურების და სავაჭრო გარემოს გაუმჯობესების წლად გამოცხადდა. ეს წელი გამოირჩეოდა მომხმარებლის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდით, რაც განპირობებული იყო, იმ სხვადასხვა ღონისძიებით, რომელიც კომპანიაში წლის განმავლობაში გატარდა:

**მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით** - 2023 წელს დაინერგა მომსახურების გაუმჯობესების სისტემა, რომელიც შედგება მისტიური კლიენტის კვლევის, მომსახურების ხარისხის კომიტეტის და თანამშრომელთა წახალისების სქემისგან. აღნიშნული სისტემა კომპანიას დაეხმარა გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრაში და მომხმარებელთა მომსახურების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებაში.

ყოველთვიურად, მომსახურების ხარისხის კომიტეტის წევრების მიერ, ანალიზდება ჩატარებული დაკვირვების შედეგები, რის საფუძველზეც ხდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა. ის თანამშრომლები კი, რომლებიც შეფასების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან, ყოველთვიურად, წამახალისებელი ბონუსით ჯილდოვდებიან.

ამასთან, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაიზარდა პერსონალის რაოდენობა. კვალიფიკაციის ამაღლების გაზრდის მიმართულებით, კი სუპერმარკეტში მომუშავე თანამშრომლები სპეციალური ტრენინგებით გადამზადდნენ.

**ასორტიმენტის გაზრდის მიმართულებით** - მიმდინარე წელს ქსელის მასშტაბით აქცენტი მაღალი ხარისხის პროდუქციის ზრდაზე და განახლებაზე გაკეთდა. გაიზარდა ხილ-ბოსტნეულის, ნელლი ხორცისა და ყველის სექცია. ასორტიმენტის მუდმივი განვითარება ფრესკოს ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობაა, სწორედ ამიტომ 2024 წელს ფრესკო არა ერთ სიახლეს დანერგავს ქსელის მასშტაბით, როგორც ადგილზე წარმოებული, ისე იმპორტული პროდუქციის მიმართულებით.

**ფასების შენარჩუნების მიმართულებით** - მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ფასების საერთო ღონე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, წლის განმავლობაში სისტემატიურად ხდებოდა სხვადასხვა პროდუქციის ფასის ცვლილება. მომხმარებლებისთვის გაზრდილი ხარჯების წნეხის შემცირების მიზნით, ქსელის მასშტაბით ხდებოდა 50%-მდე ფასდაკლების შეთავაზება პირველადი მოხმარების პროდუქციაზე. ზემოთჩამოთვლილი პროცესების დამსახურებით, ფრესკოს ქსელის მიმართ ლოიალობა იზრდება, რაც ყოველთვიურად, მომხმარებლების რაოდენობის ზრდაში აისახება.

**კორპორატიული გაყიდვები:**

კორპორატიული გაყიდვების მიმართულებამ, 2023 წელი გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლით, მოგების 21%-იანი ზრდით დაასრულდა.

დღეს, ფრესკოს აღნიშნული მიმართულება ბაზარზე მაღალი სანდოობით სარგებლობს. ვემსახურებით 500-ზე მეტ მსხვილ კომპანიას, რომელთა შორის არიან: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, სამინისტროები, სკოლები, ბაღები, რესტორნები და ბარები, სამედიცინო და სხვა დაწესებულებები.

2023 წელსაც ფრესკოს კორპორატიულ მომხმარებელთა სიას 20-მდე ახალი ორგანიზაცია შეემატა.

ყველაზე აქტიურად, მიმდინარეობდა სხვადასხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების ფრესკოს მზა საკვებითა უზრუნველყოფა და ქეითერინგის სერვისი.

**ფრესკოს მზა კვება:**

ფრესკოს მზა კვების სექცია, მომხმარებლებს სტაბილურად სთავაზობს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, 24 საათის განმავლობაში.

ფრესკოს სამზარეულო აღჭურვილია, თანამედროვე დანადგარებით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ხარისხის მართვისა და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ISO – HACCP სტანდარტებთან.

2023 წელს, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სრულიად შეიცვალა ინვენტარი და დანადგარები, რაშიც კომპანიამ ნახევარ მილიონ ლარზე მეტი ინვენსტიცია განახორციელა.

მიმდინარე წელს, მზა კვების სექციას ქსელის მასშტაბით დაემატა რამდენიმე ახალი მიმართულება - პურ-ფუნთუშეულის (ფუნჩულა და ბლითები) და პიცის ადგილზე გამოცხობის სერვისი.



ფრესკოს მზა კვების მომხმარებლების რაოდენობა მუდმივად მზარდია. რის გამოც საჭირო გახდა სუპერმარკეტებში, თვითმომსახურების კაფეების გაფართოვება. ასევე, ფრესკოს საბურთალოს და სანჯონის ფილიალში ამოქმედდა კეთილმოწყობილი დია კაფე, რომელიც ყოველდღიურად 1000-მდე მომხმარებელს სტუმრობს.

2023 წელს ფრესკოს მზა კვების მიმართულებამ წინა წელთან, შედარებით მოგების მაჩვენებელის 35%-ით გაზარდა.

**ფრესკოს საკონსერვო საწარმო**

2023 წელს კომპანია ფრესკომ ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საერთაშორისო ISO – HACCP სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო ამოქმედდა.

საწარმოში ამ ეტაპზე, 30-მდე დასახელების პროდუქტი, საოჯახო რეცეპტებითა და სპეციალურად განსაზღვრული ტექნოლოგიური პროცესების დაცვით მზადდება. ფრესკოს საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია 100% ნატურალურია, ქართული ნედლეულისგან არის დამზადებული, არ შეიცავს კონსერვანტებსა და დანამატებს.



კონსერვაციის ხარისხი გადის მრავალსაფეხურიან შემოწმებას წარმოების ყველა ეტაპზე.

პროდუქცია ფრესკოს ყველა სუპერმარკეტში იყიდება და რეალიზაციაში ბრენდით „ბებოსგან“ არის წარმოდგენილი. „ბებოსგან“ ბრენდის ქვეშ იწარმოება სხვადასხვა სახეობის მურაბები, ჯემები, კომპოტები, პომიდვრის სოუსები და კონსერვირებული ბოსტნეული. თუმცა, მომავალ წელს იგეგმება საწარმოს გაფართოვება.

**დასაქმებულები:**

ფრესკო დღეს 1200-მდე თანამშრომელს ასაქმებს ქსელის მასშტაბით, რომელიც დასაქმებულებს ბაზარზე ყველაზე მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს.

კომპანიის პოლიტიკაა, რომ შემოსავლების ზრდა, პირდაპირ ასახოს თითოეული თანამშრომელის ანაზღაურებაში.

სწორედ ამიტომ, 2023 წელს წინა წელთან შედარებით, ფრონტში მომუშავე



თანამშრომლების სახელფასო ბიუჯეტი 2მლნ ლარზე მეტით გაიზრდა.

საქართველოში, შრომითი ბაზარი ბევრი გამოწვევების წინაშე დგას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მიგრანტების რაოდენობის ზრდაა, რაც ბაზარზე კიდევ უფრო ამძაფრებს საკადრო დეფიციტით გამოწვეულ პრობლემებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ფრესკო სწორი საკადრო პოლიტიკის საშუალებით, ბაზარზე არსებულ გამოწვევებს წარმატებით უმკლავდებოდა და მთელი წლის განმავლობაში მინიმალური საკადრო დანაკლისით ოპერირებდა.

საკადრო დეფიციტის გარდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კვალიფიციური კადრის მოძიებაა.

ამ მიმართულებით, კომპანიაში დაინერგა პროექტი „გახდი ფრესკოს მენეჯერი“, რისი საშუალებითაც რითეილ სფეროში, მენეჯერულ პოზიციებზე უპრეცედენტო ხელფასი გამოცხადდა. პროექტმა შრომის ბაზარზე ძალიან დიდი გამოხმაურება მოიპოვა და მისი საშუალებით ფრესკოს გუნდს არა ერთი კვალიფიციური კადრი შემოუერთდა.

ფრესკოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი ფრესკოს გუნდია და მისი მოტივაციის მიზნით სხვადასხვა სახის წამახალისებელ აქტივობას ახორციელებს. მათ შორის ერთ-ერთი 2020-2022 წლის მსოფლიო პანდემიის დროს მომუშავე თანამშრომლების საპატივსაცემოდ, სათავო ოფისში, მემორიალური დაფის და ჩანჩქერის გახსნა იყო.

კომპანიაში მომავალშიც არა ერთი ღონისძიებაა დაგეგმილი, რაც ფრესკოში დასაქმებას კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

**იჯარა:**

ფრესკოს მისიაა, რომ მომხმარებელმა, სუპერმარკეტში მიღებული მომსახურების გარდა, შენობიდან გაუსვლელად დამატებითი სერვისიც მიიღოს. სწორედ ამიტომ, ფრესკოს სავაჭრო ფართებში, ოპერირებენ სხვადასხვა წარმატებული კომპანიები როგორიცაა: „ფარმადეპო“, წამყვანი ბანკები - „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „ლიბერთი ბანკი“, USA2GEORGIA, „პრესტო“ „სუმი 24“ და სხვა.

ყველა მომსახურების მიღება მომხმარებლებს 24 საათის განმავლობაში, ერთ სივრცეში შეუძლიათ.

ფრესკოს კომერციული ფართი თითოეულ ფილიალში საშუალოდ, 600-იდან 700კვ.მ-ს აღწევს და მისგან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად 1მლნ ლარს აღემატება.

### სხვა პროექტები:

#### **საბურთალოს ფილიალის სავაჭრო სივრცის განახლება**

2023 წელი ფრესკოში რენოვაციის მიმართულებით სხვადასხვა პროექტი განხორციელდა. ერთ-ერთი, ფრესკოს საბურთალოს ფილიალის ფუნდამენტური განახლება იყო, რაშიც კომპანიამ 1მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. რემონტის ფარგლებში სრულად შეიცვალა სუპერმარკეტის ინტერიერი, განაწლდა თაროები, დანადგარები და სავაჭრო ინვენტარი. გაიზარდა მზა კერძების, პურ-ფუნთუშეულის, ხორცისა და ყველის სექცია. მომხმარებლების რაოდენობის ზრდასთან ერთად, საჭირო გახდა კაფის ტერიტორიის გაფართოვება - შიდა სივრცის გაზრდასთან ერთად, დაემატა გარე სივრცე, რომელიც ჯამში ყოველდღიურად 1000-მდე მომხმარებელს მასპინძლობს.



კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ გარე და შიდა რისკებთან, რომელთა შეფასების, მათი ეფექტურად მართვისა და მიტიგირების მიზნით მენეჯმენტს შემუშავებული აქვს შესაბამისი მიდგომები.

### **მაკროეკონომიკური გარემო და საკანონმდებლო რისკი:**

მიუხედავად ფინანსური სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხისა, ფრესკო შოპინგ ცენტრის ბიზნეს საქმიანობაზე, მის ფინანსურ თუ არაფინანსურ მაჩვენებლებზე, ისევე როგორც მომავალი განვითარების გეგმებზე, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებამ და სოციალური ფონის გაუარესებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მომგებიანობაზე. მენეჯმენტის მიერ მუდმივად ხდება აღნიშნული რისკის შეფასება და სათანადო ღონისძიებების შემუშავება, როგორიცაა ასორტიმენტის განახლება, მომხმარებლებისთვის აქციების რეგულარული შეთავაზება, რათა მოსახლეობის მეტმა რაოდენობამ შეძლოს პროდუქციის შეძენა.

სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ბიზნეს საქმიანობისთვის. დღესდღეობით, სახელმწიფოში არსებული პრაქტიკა და მიდგომები არათანასწორ პირობებში აყენებს კომპანიას კონკურენტებთან მიმართებაში.

კომპანიის ბიზნეს საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან, საგადასახადო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან. თუმცა, არსებობს რისკი იმისა, რომ საკანონმდებლო ან სხვა რეგულაციების ცვლილებამ გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდამ მიმდინარეობს მენეჯმენტის შესაბამისი წევრების მხრიდან კანონპროექტების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირება, ისევე როგორც მიღებული კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების გატარება.

2023 წელს, საკანონმდებლო მიმართულებით, ამოქმედდა სხვადასხვა შემაფერხებელი კანონი, რომელმაც შესაძლოა შემაფერხებელი გავლენა იქონიოს სადისტრიბუციო და რითეილ სექტორების ოპერირებაზე. დედაქალაქის მასშტაბით დიდ გაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებებისთვის გადაადგილების შეზღუდვამ გარკვეულ წილად შეაფერხა სუპერმარკეტების მომარაგების პროცესი. თუმცა, ფრესკოსთვის აღნიშნული რეგულაცია ბაზრის სხვა მოთამაშეებთან შედარებით ნაკლებად შემაფერხებელია ვინაიდან, სუპერმარკეტების ფორმატი სასაწყობო მეურნეობა სასაქონლო მარაგების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, სუპერმარკეტის 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიამ მოახდინოს ადაპტირება დამით პროდუქციის მიღებაზე.

ბიზნესის განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ბარიერი და ბიუროკრატია არსებობდეს, როგორც ცენტრალური მთავრობის, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე.

რა საკვირველია, ზემოთხსენებულმა ფაქტორებმა გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. მოქნილობის, სწრაფად-ცვალებად გარემოზე მყისიერად ადაპტირებისა და დროული გადაწყვეტილების მიღების წყალობით, კომპანიამ წარმატებით შეძლო 2022 წლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლებით დასრულება და მსგავს ტენდენციას ინარჩუნებს 2023 წელსაც.

### **საოპერაციო რისკი:**

საოპერაციო რისკი მოიცავს არასწორი შიდა პროცესების, სისტემების გაუმართავობის, ადამიანური შეცდომით, გარე ფაქტორებითა და შიდა თუ გარე პირების მიერ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული დანაკარგების რისკებს.

საბაზო ვაჭრობის ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიისთვის. ფრესკოში საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით რეგულარულად მიმდინარეობს მუშაობა პროცესების ავტომატიზირების, პროცედურების დოკუმენტირების, რეგლამენტირებისა და სტანდარტიზირების კუთხით. საოპერაციო რისკების აღმოჩენაში, მონიტორინგის პროცესში, სწორად მართვასა და პრევენციაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ინვენტარიზაციის, შიდა კონტროლისა და დაცვისა და შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტებს.

გარდა ამისა, დირექტორთა საბჭოს სათანადო წევრებით დაკომპლექტებული - დანაკლისების კომიტეტი უზრუნველყოფს ფრესკოში საოპერაციო რისკების ეფექტური მართვის პოლიტიკის გატარებასა და აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებების დროულ და სათანადო განხორციელებას. ზემოთხსენებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, 2023 წელსაც გაგრძელდა საოპერაციო რისკებიდან მიღებული დანაკარგების მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია, რაც პირველ რიგში შესაბამისი დეპარტამენტების წარმატებული მუშაობის შედეგია.

### **საკრედიტო რისკი:**

საკრედიტო რისკში იგულისხმება რისკი იმისა, რომ კონტრაგენტის ან დებიტორის მიერ არ/ვერ მოხდება კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულება. კომპანიაში შემუშავებული და დანერგილია კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემა, დებიტორული დავალიანების ინტენსიურ მონიტორინგი და შიდა გამაფრთხილებელი ინდიკატორების სისტემა, რაც ერთობლიობაში ქმნის საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის პოლიტიკას.

**ლიკვიდურობის რისკი:**

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს იმის საშიშროებას, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს ფინანსური ვალდებულებების მთლიანი და დროული შესრულება. აღნიშნული რისკის მართვისთვის ფრესკოს შემუშავებული აქვს მომწოდებლებთან ანგარიშსწორების სწრაფი და მოქნილი სისტემა და ამასთან, კომპანიას გააჩნია საკმარისი ოდენობის ფულადი სახსრები ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

**საბაზრო რისკი:**

საბაზრო რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

სავალუტო რისკი გულისხმობს გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ უარყოფით შედეგს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ვინაიდან ფრესკოს ყველა სუპერმარკეტი ოპერირებს საკუთარ შენობებში და არ იხდის იჯარის თანხას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, ეს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მას სავალუტო რისკის კუთხით. გარდა ამისა, კომპანია თვითონ არ ახდენს პროდუქციის იმპორტს და შესაბამისად თავიდან აცილებული აქვს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული პირდაპირი უარყოფითი გავლენა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში რეალიზებული პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა იმპორტირებულ საქონელზე მოდის, გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ნეგატიურ გავლენას ახდენს პროდუქციის ფასებზე, მოლოდინებსა და მომხმარებლის მოთხოვნაზე - ეს ყველაფერი კი აისახება კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

2023 წელს აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ უმნიშვნელო გავლენა იქონია კომპანიის საბოლოო ფინანსურ შედეგზე. 2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯი არ ფიქსირდება, რაც გამოწვეული იყო დამფუძნებელი კომპანიისგან მიღებული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული, გრძელვადიანი, უპროცენტო სასესხო ვალდებულებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი გულისხმობს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით გამოწვეულ უარყოფით შედეგს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნული რისკი არ არის რელევანტური კომპანიისთვის, ვინაიდან მას არ გააჩნია მსგავსი რისკის მატარებელი სასესხო ვალდებულება.

სამომავლო გეგმები:

**ქსელის გაფართოვება:**

2023 წელს ფრესკო აქტიურად განაგრძობდა ფართების მოძიებას ქსელის გაფართოვების მიზნით.

ფრესკო ერთადერთი ქსელია საქართველოში, რომელიც ოპერირებს 100% საკუთრებაში არსებულ მიწისა და შენობების ბაზაზე, რაც განაპირობებს მის დამოუკიდებლობას და ფინანსურ სიძლიერეს.

სწორედ ამ ბიზნეს მოდელის მოთხოვნების გათვალისწინებით, თბილისის ერთ-ერთ მზარდ და განვითარებულ უბანში, დიდ დიღომში მოძიებული იყო ფრესკოს სტანდარტების დამაკმაყოფილებელი ფართობი, სადაც 2024 წელს კომპანია მე-10 ფილიალს გახსნის.

ახალი ფილიალი, მეფე მირიანის ქუჩაზე აშენდება და ის 5000კვ.მ.-ის ფართობს მოიცავს, სადაც სავაჭრო დარბაზი 1500კვ.მ. იქნება. გარდა სავაჭრო ფართობისა, შენობაში მოეწყობა მიწისქვეშა პარკინგი, თვითმომსახურების კაფე და სხვა საჭირო სივრცეები.

პროექტის მშენებლობისთვის 20 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება.

დიდი დიღმის სუპერმარკეტი 150-მდე თანამშრომელს დაასაქმებს.

ფრესკოს მე-10 ფილიალი, მსგავსად სხვა ფილიალებისა, მომხმარებლებს 24 საათიან მომსახურებას შესთავაზებს.





2024 წელი მთლიანად დაეთმოა მომსახურების გაუმჯობესებას და მომხმარებლებისთვის კიდევ უფრო მეტი კომფორტული გარემოს შექმნას. ამ მიმართულებით დაგეგმილია:

- **თვითმომსახურების სალაროების განთავსება სუპერმარკეტებში:** საზოგადოების სწრაფ განვითარებასთან ერთად, ყოველდღიურად იზრდება ადამიანების ცხოვრების ტემპი. შესაბამისად, ადამიანებს კიდევ უფრო ნაკლები დროის დახარჯვა სურთ სუპერმარკეტში, სალაროებთან ანგარიშსწორების დროს. გარდა ამისა, მომხმარებლების რაოდენობის ყოველთვიურმა ზრდამ დაგვანახა, თანამედროვე ტექნოლოგიური მიმართულების დანერგვის აუცილებლობა. სწორედ ამიტომ, კომპანიის გადაწყვეტილებით 2024 წელს სუპერმარკეტებში ამოქმედდება თვითმომსახურების სალაროები.
- **ახალი დანადგარების დამონტაჟება:** 2024 წელს კომპანია 1მლნ ლარამდე ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს სუპერმარკეტებში თანამედროვე, ევროპული დანადგარების, კერძოდ სამაცივრე სისტემების შეძენის მიმართულებით.
- **სუპერმარკეტების განახლება:** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, ფრესკოს ფილიალის შიდა და გარე ინტერიერის ფუნდამენტური ცვლილებაა. იმისთვის, რომ ფრესკოში ვაჭრობა კიდევ უფრო კომფორტული გახდეს დაგეგმილია ერთ-ერთი ფილიალის გარე ფასადის ცვლილება და ექსტერიერის შეცვლა, შიდა ინტერიერისა და ინვენტარის განახლება.
- **ფრესკოს საკონდიტროს ამოქმედება:** 2024 წელს ფრესკოს წარმოებას საკონდიტრო მიმართულება შეემატება. საწარმოში ყოველდღიურად 100-მდე დასახელების, უმაღლესი ხარისხის პროდუქციით მომზადებული, ტრადიციული და ევროპული საკონდიტრო ნაწარმი მომზადდება. საკონდიტრო ხაზი ფრესკოს ქსელის მასშტაბით გაიყიდება.
- **სახელფასო ბიუჯეტის გაზრდა:** კომპანია ფრესკოს სტრატეგია გაზრდილი შემოსავლის თანამშრომლების სახელფასო და საბონუსე ბიუჯეტისკენ მიმართვას. 2024 წელსაც სახელფასო ბიუჯეტი ზრდა კვლავ დგას დღის წესრიგში.



თბილისი-კოჭრის გზატკეცილი №3, 0105, თბილისი, საქართველო  
შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“  
ტელ: (995 32) 2 907 907  
ელ.ფოსტა: [info@fresco.ge](mailto:info@fresco.ge); [www. Fresco.ge](http://www.Fresco.ge)